სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - რუსთავის „რუსთავი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	შეჯიბრი	I ლიგაში ასვლა/დარჩენის პლეიოფი
მატჩის თარიღი	18/05/2024	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
☐მატჩის ოფიციალური პირი ☒პიროვნება	რუსთავის „რუსთავი“-ს მენეჯერი ლუკა ბეჟუაშვილი	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია, ქცევის კოდექსი - 8.9 არ დაარღვიოს სრკ-ს მოქმედი რეგულაციები, დებულებები, წესდება, სრკ-ს გამგეობის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	24/05/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	აკაკი კერესელიძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☒ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	1.„ბაგრატი“-ს მენეჯერი შაკო კიკვაძე; 2. „ბაგრატი“-ს მოთამაშე ბაქარ შვანგირაძე; 3. “ბაგრატი “-ს პრეზიდენტი დავით იობიძე	აღნიშნეთ ვინ	სრკ-ს გამგეობის წევრი ალექსანდრე ხვედელიძე; სრკ-ს ადმინისტრაციის დირექტორი ჯეგა არჯევანიძე;
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	რუსთავის „რუსთავი“-ს მენეჯერის ლუკა ბეჟუაშვილის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. რუსთავის „რუსთავი“-ს მენეჯერის ლუკა ბეჟუაშვილის საითინგი (20.05.2024);
2. რუსთავის „რუსთავი“-ს ელ.ფოსტა ფოტო და ვიდეო მასალა (20.05.2024)
3. სრკ-ს რეგისტრატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის ელ.ფოსტა (21.05.2024)
4. სრკ-ს რეგისტრატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. სრკ-ს რეგისტრატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის სამსახურეობრივი ელ.ფოსტის შემოწმების ვიდეოჩანაწერი;
6. „ბაგრატი“-ს მენეჯერის შაკო კიკვაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
7. „ბაგრატი“-„რუსთავი“-ს მატჩის მეთვალყურის, მამუკა ჯანაშიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
8. სრკ-ს I ლიგის შეჯიბრების მენეჯერის, ამირან თეზელაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
9. „ბაგრატი“-„რუსთავი“-ს მატჩის მსაჯის, შოთა თევზაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

1. “ბაგრატი “-ს წარმომადგენლები:

   დავით იობიძის განცხადებით, იგი თამაშს არ ესწრებოდა (დისკვალიფიკაციის გამო) როდესაც ტელეფონით შეიტყო ლიცენზიის ბარათებთან დაკავშირებული პრობლემა, მას ჰქონდა ცარიელი სალიცენზიო ბარათები სადაც ჩააკრა სურათები და ბეჭდებთან ერთად გაუგზავნა გუნდის წარმომადგენლებს, ვინაიდან დავით იობიძის ჩანთაში იყო რამოდენიმე ბეჭედი, გუნდის წარმომადგენლებს აერიათ ბეჭდები და სალიცენზიო ბარათებს დაარტყეს არა კლუბის, არამედ ძველი ბეჭედი რომელიც გამოიყენებოდა დასავლეთის საფესტივალო შეჯიბრებების დროს. მან ასევე განაცხადა, რომ ადრეც ჰქონდა ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობით ხდებოდა მოთამაშეთა იდენტიფიცირება, რომელთაც პრობლემა არ შექმნიათ თამაშში მონაწილეობაზე. დავით იობიძის განცხადებით მის გუნდს ჰქონდა ყველა მოთამაშეზე ლიცენზიები, მაგრამ რამოდენიმე მათგანი გაურკვეველ სიტუაციაში დაიკარგა. მისი განცხადებით მოთამაშეთა ლიცენზიების შემოწმების ინიციატორი იყვნენ მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენელები, როლებიც დაჟინებით ითხოვდნენ მატჩის მეთვალყურისგან სალიცენზიო ბარათების გადამოწმებას.

   შაკო კიკვაძის განცხადებით, მას შემდეგ რაც მატჩის მეთვალყურეს წარუდგინეს სურათებიანი და ბეჭედ დარტყმული სალიცენზიო ბარათები, რითაც მოახდინა მოთამაშეების იდენტიფიცირება, ამის შემდეგ მეთვალყურემ მოთამაშეებს მისცა თამაშის უფლება. მისი განცხადებით მიმდინარე სეზონის განმავლობაში არცერთ მატჩზე მეთვალყურეს არ მოუთხოვია მოთამაშეთა სალიცენზიო ბარათები. მხოლოდ ამ ერთ მატჩზე მოხდა სალიცენზიო ბარათების მოთხოვნა და გადამოწმება მეთვალყურის მიერ, მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლების დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ.

   ბაქარ შვანგირაძის განცხადებით, მისთვის გასაგებია რომ ყველა დებულებაში და/ან რეგულაციაში შესაძლოა იყოს ხარვეზები, თუმცა არ არსებობს სრკ-ს ლიცენზირების დებულება, არსებობს მოთამაშეთა რეგისტრაციის დებულება, რომელიც შესრულებული არის და რა არის ლიცენზია და როგორი უნდა იყოს, რა ფორმით, როგორი ბეჭედით, აღწერით და ა.შ. არ არსებობს. კომისიის წევრის კითხვაზე თუ რა არის ლიცენზია - ბაქარ შვანგირაძე განმარტავს რომ, ზოგადად, სრკ-ში სალიცენზიო ბარათი არის საფესტივალო ასაკის მოთამაშეებისთვის, რომელთა სიაც არ არის სრკ-ს საიტზე გამოქვეყნებული.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

1. რუსთავის „რუსთავი“-ს მენეჯერის ლუკა ბეჟუაშვილის საითინგი –

ა) მოთამაშე ბაკურ კუხალაშვილი, რომელიც რაგბის კლუბ ბაგრატის ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა მიმდინარე წლის 12 მაისს ქ. რუსთავში და ეცვა 10 ნომერიანი მაისური მეორე თამაშზე 18 მაისს განაცხადში იყო 31 ნომრიანი მაისურით და შემოვიდა შეცვლაზე. ბაკურ კუხალაშვილი არ არის რეგისტრირებული რაგბის კლუბ „ბაგრატი"-ს ოფიციალურ განაცხადში და ასევე არ ქონდა რაგბის კავშირის მიერ გაცემული ოფიციალური ლიცენზია. იგი თამაშობდა დარღვევით (ორივე თამაშზე).

ბ) მატჩის დაწყებამდე ოფიციალურ კომისარს ჯანაშიას მივაწოდე ჩემი გუნდის 23 მოთამაშის ლიცენზია, რომელიც მყავდა განაცხადში და მოვთხოვე აღნიშნული ლიცენზიები პიროვნების ოდენტიფიკაციის მიზნით მოეთხოვა რაგბის კლუბ ბაგრატისთვის. რამდენიმე წუთში თამაშის კომისარმა განმიცხადა რომ აღნიშნული ლიცენზიები მინიმუმ 6 კაცს (ამირან ჩიტეიშვილი, თამაზ ჭოლაძე, ელგუჯა კიკვაძე, ბაკურ კუხალაშვილი, გიორგი ჩიტორილიძე, ბაქარი მხეიძე) არ ჰქონდა. რამდენიმე მათგანს ლიცენზიებზე არ ჰქონდათ სურათები და ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიკაცია და ექვსივე მათგანს არ ჰქონდა რაგბის კავშირის მიერ ოფიციალურად გაცემული ლიცენზია ანუ მათზე არ იყოს რაგბის კავშირის ბეჭდები წინა და უკანა მხარეს. ამის შესახებ ინფორმირება მოვახდინე სამსაჯო კოლექტივის და მათ გადამამისამართეს თამაშის კომისართან. მატჩის კომისარმა ლიცენზიების და მოთამაშეების იდენტიფიკაციის გარეშე მიიღო მატჩის ჩატარების გადაწყვეტილება.

გ) მატჩის ოფიციალურად დაწყებიდან პირველივე წუთზე მატჩის კომისარმა გააჩერა თამაში და მოუხმო მსაჯს და უთხრა რომ ექვს პიროვნებას აქედან 2 ძირითად შემადგენლობაში და 4 სათადარიგო შემადგენლობაში არ ჰქონდათ ლიცენზიები. მათ ლიცენზიებზე ბეჭედი არ იყო დარტყმული არცერთზე, ასევე არ იყო სურათი ჩაკრული ორ მოთამაშეზე. აქედან გამომდინარე მსაჯმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ძირითად შემადგენლობაში მოთამაშე ორი პიროვნება გაეშვა მოედნიდან, ხოლო 9 ნომერი დატოვა მოედანზე (ვისაც არ ჰქონდა ოფიციალური ლიცენზია). ამ ქმედებით დაადასტურეს რომ თამაში უკვე დაირღვა. რაგბის კლუბმა ბაგრატმა გაიყვანა აღნიშნული მოთამაშეების მოედნიდან და გააკეთა ოფიციალური ცვლილება. თამაში დატოვა 11 და 4 ნომერმა ბაქარ მხეიძემ და გიორგი ჩიტორელიძემ. რამდენიმე წუთში მატჩის კომისარმა განმიცხადა ქუთაისის ბაგრატის წარმომადგენლებმა გააკეთეს რაგბის კავშირის ოფიციალური ლიცენზიები და მოახდენდა ამ პიროვნებების შეშვებას რითაც დაარღვია რამდენიმე კანონი, როცა ოფიციალურად შეცვლილი მოთამაშეები დააბუნეს უკან (11 და 4 ნომერი). დაირღვა რაგბის დებულების ის პუნქტი, რომელიც ადგენს მოთამაშის ცვლილების წესს და ასევე 6 მოთამაშეს მისცა საშულება თამაშის განმავლობაში შესულიყვნენ მოედანზე.

ჩემს მიერ მოპოვებული იქნა ერთ-ერთი მოთამაშის ლიცენზია (ფოტოსურათს დავურთავ საჩივარს) რომელზეც დარტყმული იყო გაურკვეველი ბეჭედი, რომელიც არ ეკუთვნის რაგბის კავშირს, ადგილი ჰქონდა კავშირის ბეჭდის გაყალბებას, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ვაცნობე პირველ რიგში კომისარს და შემდეგ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას. მოთამაში იცენზიაზე დარტყმულია მხოლოდ ერთი ბეჭედი (გაურკვევეი წარმომავლობის) და უკანა მხარეს მეორე ბეჭედი არ აქვს არცერთ ლიცენზიას. ჩემს მიერ მოხდა გასაუბრება ბატონ გოჩა მაჭავარიანთან, რაგბის კავშირის თანამშრომელთან, რომელიც უშუალოდ არის კომისრების ხელმძღვენელი პირი, ამ შემთხვევაში ბატონ ჯანაშიას ხელმძღვანელი და მან დამიდასტურა რომ აღნიშნულმა პიროვნებამ განახორციელა სატელეფონო ზარი და ჰკითხა როგორ მოქცეულიყო. ბატონმა გოჩა მაჭაცარიანმა მას უთხრა, რომ ეს 6 მოთამაშე, რომელთაც არ ჰქონდათ რაგბის კავშირის მიერ გაცემული ოფიციალური ლიცენზიები და არ იყო განაცხადში არ უნდა შესულიყვნენ მოედანზე, ამის შემდეგ მათ შორის კომუნიკაცია აღარ ყოფილა და კომისარმა ჯანაშიამ თვითნებურად მიიღო ამ 6 მოთამაშის თამაშზე დაშვების

გადაწყვეტილება. ამ ყველაფრის მტკიცებულებად და ფაქტების სიზუსტისათვის, ფოტო-ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ/მოიმინოთ მატჩის ჩანაწერშიც, რომელიც განთავსებულია RUGBY TV-ზეც. ამ ფაქტების განხილვა იწყება თამაშის დაწყების პირველივე წუთიდან.

თამაშის ბოლოს ჩემმთან ერთად თამაშის კომისარმა ოქმში დააფიქსირა, რომ თამაშის დასაწყისში 6 პიროვნებას არ ჰქონდა ოფიციალური ლიცენზიები და მაინც მიიღო გადაწყვეტილება თამაშის დაწყების, თუმცა რამდენიმე წუთში გამოიყვანა მოთამაშეები და ასევე რამდენიმე წუთში ვითომ ფედერაციის ბეჭედ დარტყმული ლიცენზიების წარდგენის შემადეგ 6 მოთამაშეს მისცა უფლება თამაშში მონაწილეობის. თამაშის კომისარი არ ახორციელებდა შეცვლების აღნივნას და ჩემს მიერ იქნა მითითებული რამოდენიმე ცვლილება, თუმცა ეს იყო არასრულყოფილი რადგან არ ახსოვდა თუ ვინ შევიდა, რა ნომრით და ვინ გამოვიდა მოედნიდან, რადგან არ აკეთებდა ამ ყველაფრის ჩანაწერს.

2. სრკ-ს რეგისტრატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის პასუხი (ელ.ფოსტა - 21.05.2024):

სრკ-ს სადისციპლინო სამსახურის კითხვა - ნიკა, წერილის თანდართულ "სკრინებზე" წარმოდგენილია სრკ-ს საიტზე ქუთაისის "ბაგრატი"-ს მოთამაშეთა საშეჯიბრო განაცხადი 2024 წლის19-20 მაისის მდგომარეობით, 54 მოთამაშე. დღევანდელი(22.05.2024) მდგომარეობით სრკ-ს საიტზე ქუთაისის "ბაგრატი"-ს მოთამაშეთა საშეჯიბრო განაცხადში ფიქსირდება 56 მოთამაშე. გთხოვთ წარმოადგინოთ ქუთაისის "ბაგრატი"-ს 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის მოთამაშეთა საშეჯიბრო განაცხადში მომხდარი ცვლილებების საფუძვლები. კერძოდ, ქუთაისის "ბაგრატის" მოთამაშეები - ჩიტორელიძე გიორგი, კუხალაშვილი ბაკური.

ნიკოლოზ გიგინეიშვილის პასუხი - გამარჯობა, ჩვენი საიტი და ბაზა წელს ძალიან გადატვირთულია და ასევე გვაქვს პრობლემა Cache მეხსიერებასთან, ამის გამო ხანდახან საიტი ცვლილებებს უკან აბრუნებს (ახალ ცვლილებებს გვიბლოკავს) და გვიწევს ბევრი ფაილის აღდგენა ან ხანდახან თავიდან გაკეთება. ამ ორ მოთამაშეს რაც შეეხება: ჩიტორელიძე იყო სიაში უბრალოდ ჩიორელიძედ ეწერა და საბუთების გადამოწმების შემდეგ გვარის მართლწერა გავასწორე, ხოლო კუხალაშვილი გამოგზავნილი იყო ბაგრატის მენეჯერის პირადი მეილიდან, ასევე გრიგოლ ჭიქაშუა-ც ამიტომ კიდევ ერთხელ გადავხედეთ მეილებს და აღვადგინეთ ბაგრატის განაცხადი და მაგის გამოა ამ ორ სიაში 2 კაციანი ცდომილება.თან ვურთავ მეილის სქრინს, თარიღის დადასტურებისთვის და მის შიგთავსს.

3. სრკ-ს რეგისტრატორის, ნიკოლოზ გიგინეიშვილის გამოკითხვა - ნიკოლოზ გიგინეიშვილმა განაცხადა, რომ ბაკურ კუხალაშვილი არის რეგისტრირებული მორაგბე ქუთაისის „ბაგრატი“-ს შემადგენლობაში. მისი განცხადებით - ჩვენ საიტს აქვს ტექნიკური პრობლემა Cache მეხსიერებასთან, ამის გამო ხანდახან საიტს აბრუნებს უკან რის გამოც ძლიან ბევრი ფაილი საერთოდ წაიშალა და უწევდა ძალინ ბევრი ფაილის თავიდან გაკეთება, ესე გააკეთა ქუთაისის ბაგრატის მთლიანი განაცხადი, რუსთავის „რუსთავი“-ს მთლიანი განაცხადი, ფესტივალების, „ბ“ ლიგის და სხვა განაცხადები. აღნიშნულის გამო მოუწია ელ. ფოსტის შემოწმება, სადაც კლუბები აგზავნიან მოთამაშის რეგისტრაციის მოთხოვნას აღადგინა ქუთაისის „ბაგრატი“-ს საშეჯიბრო განაცხადი და როგორ აღმოჩნდა გამორჩა ბაკურ კუხალაშვილის საშეჯიბრო განაცხადში შეყვანა. კომისიის კითხვაზე შეუძლია თუ არა რომ კომისიას ანახოს, სადაც გამოჩნდება ბაკურ კუხალაშვილის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მის ელ.ფოსტაზე მოსვლის ფაქტი და თარიღი მან განაცხადა თანხმობა. სადისციპლინო კომისიამ დააფიქსირა ვიდეო გადაღებით სადაც ჩანს ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშის ბაკურ კუხალაშვილი სარეგისტრაციო დოკუმენტების გამოგზავნის თარიღი (22.08,2023წ.). მისი განცხადებით სრკ-ს საიტზე არსებობს კაცების დიდი სია (Exel-ის ფაილი) სადაც ბაკურ კუხალაშვილი შეყვანილია ქუთაისის „ბაგრატი“-ს შემადგენლობაში 31.08.2023წ.

კომისიის კითხვაზე 2024 წლის 19-20 მაისის მდგომარეობით იმყოფებოდა თუ არა ბაკურ კუხალაშვილი ქუთაისის „ბაგრატი“-ს განაცხადში, მან განაცხადა რომ აღნიშნულ თარიღებში ბაკურ კუხალაშვილი არ იძებნებოდა ქუთაისის „ბაგრატი“-ს განაცხადში და იგი დაამატა მას მერე რაც შეიტყო რომ ბაკურ კუხალაშვილი არ ფიქსირდებოდა ქუთაისის „ბაგრატი“-ს განაცხადში.

4. „ბაგრატი“-„რუსთავი“-ს მატჩის მეთვალყურის, მამუკა ჯანაშიას გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - მამუკა ჯანაშიას განცხადებით, „ბაგრატი“-ს 6 მოთამაშის ლიცენზიებიდან ორს არ ჰქონდა სურათი და ბეჭედი, ხოლო ოთხს მხოლოდ ბეჭდები. აღნიშნული ექვსი მოთამაშიდან ორი იმყოფებოდა მოედანზე. მისი განცხადებით საჩივარი იყო შემოსული იმასთან დაკავშირებით რომ ქუთაისის „ბაგრატს“-ს სრულყოფილად არ ჰქონდა მოთამაშეთა ლიცენზიები რის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ქუთაისის „ბაგრატი“-ს ხელმძღვანელობა და უთხრა მათ რომ მოეგვარებინა აღნიშნული ლიცენზიების პრობლემა. კომისიის წევრების კითხვაზე თუ რატომ აღმოჩნდნენ მოედანზე ლიცენზიის არ მქონე მოთამაშეები, მან განაცხადა რომ ეგონა ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენლებმა მოაგვარეს ლიცენზიის პრობლემა.

მისი განცხადებით თამაშის დაწყების შემდგომ პირველივე წუთზე, როდესაც შეიტყო რომ მოედანზე იყო ქუთაისის ბაგრატის 2 მოთამაშე, მან გააჩერებინა მსაჯს დაწყებული თამაში და დაატოვებინა მოთამაშეებს მოედანი ლიცენზიების არ ქონის გამო. რამოდენიმე ხანში მასთან მივიდა „ბაგრატი“-ს წარმომადგენელი და წარუდგინა ბეჭდიანი ლიცენზიები, რის შემდეგაც მან დართო მოთამაშეებს თამაშში მონაწილეობის უფლება, თუმცა შემდგომ მან დაუძახა რუსთავის გუნდის მენეჯერს და აჩვენა ქუთაისის „ბაგრატი“-ს მიერ წარმოდგენილი ლიცენზიები, ხოლო რუსთავის მენერმა უთხრა რომ ეს არ იყო ის ბეჭედი და თავადაც დარწმუნდა რომ ლიცენზიებზე სხვა ბეჭედი იყო დარტყმული. მისი განცხადებით ვინაიდან მიმდინარეობდა თამაშის პირდაპირი ტრანსლაცია, მოედანზე იმყოფებოდა მაყურებელი, თამაშს ხომ არ ჩაშლიდა ??? რეაგირება არ მოახდინა და მოთამაშეები დატოვა მოედანზე.

მისი განცხადებით იგი შეცდომაში იქნა შეყვანილი ქუთაისის ბაგრატის წარმომადგენლების მხრიდან ვინაიდან ლიცენზიებზე ერტყა სრკ-ს ბეჭედი რომელიც შემდგომში გადამოწმებისას არ აღმოჩნდა რაგბის კავშირის ბეჭედი, ასევე მან განაცხადა რომ სათანადოდ არ შეამოწმა წარმოდგენილი სალიცენზიო ბარათები.

კომისიის წევრების კითხვაზე - იყო თუ არა მის მიმართ რაიმე სახის მუქარა ან შეძახილები რომელიმე გუნდის წარმომადგენლების მხრიდან, მან განაცხადა რომ მუქარას ადგილი არ ჰქონია, თუმცა ქუთაისის ბაგრატის წარმომადგენლების მხრიდან იყო მოთხოვნა „ათამაშე და პასუხისმგებლების ვართ საშეჯიბრო განაცხადში არიან მოთამაშეები უბრალოდ ლიცენზიაბშია პრობლემაო“.

5. სრკ-ს I ლიგის შეჯიბრების მენეჯერის, ამირან თეზელაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - ამირან თეზელაშვილის განცხადებით, მას დაუკავშირდა ბაგრატი - რუსთავის მატჩის მეთვალყურე და მოახსენა მოთამაშეების ლიცენზიებთან დაკავშირებული პრობლემები. მან მეთვალყურეს უპასუხა თუ ლიცენზიას სურათი მოძვრა, იდენტიფიცირება მოეხდინათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხევით, ხოლო იმ მოთამაშეებს ვისაც არ ქონდა ლიცენზია, ასეთი მოთამაშეები არ შეეშვა მოედანზე სათამაშოდ. კომისიის კითხვაზე, იცოდა თუ არა მან როგორ და რა წესით ხდება მოთამაშეების ლიცენზიების გაცემა, ამირან თეზელაშვილმა უპასუხა, რომ არ არსებობს ასეთი წესი და ლიცენზია თავისი აზრით წარმოადგენს მოედანზე მოთამაშის იდენტიფიცირების საშუალებას. მისი

განცხადებით ხშირია შემთხვევები როდესაც ლიცენზიებიდან ძვრება ფოტოსურათები და ამ შემთხვევებში მოთამაშის იდენტიფიცირება ხდება პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით.

6. „ბაგრატი“-„რუსთავი“-ს მატჩის მსაჯის, შოთა თევზაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - შოთა თევზაძის განცხადებით, თამაშის დაწყების წინ მისთვის ცნობილი იყო პრობლემა მოთამაშეების ლიცენზიების შესახებ. მას შემდეგ რაც მეთვალყურემ სიტყვიერად დაუდასტურა პრობლემის მოგვარება, ის გავიდა მოედანზე და დაიწყო თამაში მას შემდეგ, რაც მეთვალყურემ მას ანიშნა რომ შეეძლო თამაშის დაწყება. თამაშის დაწყებიდან რამოდენიმე წუთში მეთვალყურემ გააჩერებინა მას თამაში და განუცხადა მოთამაშეთა ლიცენზიების პრობლემის შესახებ. მეთვალყურის მითითებით მან „ბაგრატი“-ს ორ მოთამაშეს დაატოვებინა მოედანი.

სადისციპლინო კომისიის მსჯელობა.

1. რუსთავის „რუსთავი“-ს საითინგში აღნიშნულ პირველ (ა) საკითხთან დაკავშირებით, რაც შეეხება ბაკურ კუხალაშვილის სრკ-ში რეგისტრაციას:
   სადისციპლინო სამსახურმა სრკ-ს რეგისტრატორისგან ჯერ წერილობით მოითხოვა არგუმენტაცია და შემდგომ პირადად გამოკითხა იგი 2024 წლის 19-20 მაისს რატომ არ ფიქსირდებოდა ბაკურ კუხალაშვილი ქუთაისის ბაგრატის შემადგენლობაში სრკ-ს საიტზე კლუბის საშეჯიბრო განაცხადში და უკვე 2024 წლის 22 მაისს როგორ აღმოჩნდა იგი სრკ-ს საიტზე კლუბის საშეჯიბრო განაცხადში.
   ნიკოლოზ გიგინეიშვილის მიერ წარმოდგენილმა არგუმენტაციამ და მარწმუნებელმა ფაქტებმა (კერძოდ, მან კომისიის წევრებს სხდომაზე გაუხსნა სამსახურეობრივი ელ.ფოსტა) ცხადყო რომ ბაკურ კუხალაშვილის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილია სრკ-ს რეგულაციებით დადგენილი წესითა და ვადაში 22.08.2023წ. რაც შეეხება ბაკურ კუხალაშვილის სალიცენზიო ბარათის საკითხს, კომისია სალიცენზიო ბარათების საკითს შეხეება სხვა მოთამაშეთა ლიცენზიებზე მსჯელობის დროს.
2. რუსთავის „რუსთავი“-ს საითინგში აღნიშნულ მეორე (ბ) საკითხთან დაკავშირებით: რაც შეეხება ქუთაისის „ბაგრატი“-ს მოთამაშეთა ლიცენზირებას (მათ შორის ბაკურ კუხალაშვილის ლიცენზიას) სადისციპლინო კომისიამ გამოკითხა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა პირი ვისაც შესაძლოა სამახურეობრივად ეხებოდეს მოთამაშეთა ლიცენზირება.

   წარმოდგენილი მასალებით ირკვევა რომ მეთვალყურემ დროულად ვერ უზრუნველყო მოთამაშეთა სალიცენზიო ბარათების შემოწმება, რამაც გამოიწვია მატჩის დაწყების შეფერხება, შემგომში დაწყებული მატჩის შეჩერება, ქუთაისის „ბაგრატი“-ს 2 მოთამაშის გამოყვანა მოედნიდან და რამდენიმე წუთში მათთვის კვლავ თამაშის უფლების მიცემა.

   წარმოდგენილი მასალებით ირკვევა რომ ქუთაისის „ბაგრატი“-ს მხრიდან მოთამაშეთა სალიცენზიო ბარათები წარმოდგენილი იყო **პრაქტიკაში მიღებული** არასრულყოფილი სახით, რამაც გამოიწვია მატჩის დაწყების შეფერხება და შემდგომი გაურკვევლობა მოთამაშეთა სალიცენზიო ბარათების შესახებ.

   კომისია **პრაქტიკაში მიღებულ წესზე** ამახვილებს ყურადღებას: არ არსებობს მოთამაშეთა ლიცენზირების რაიმე გაწერილი წესი ან რეგულაცია რომლითაც დადგენილია მოთამაშეთა ლიცენზირება და ამავე დროს სრკ-ს საშეჯიბრო დებულებით დადგენილია რომ, მოთამაშე ექვემდებარება ლიცენზირებას, მხოლოდ სრკ-ში სათანადო წესით რეგისტრაციის შემდეგ.

   რაც შეეხება საითინგში აღნშნულ 6 მოთამაშეს რომელთა სალიცენზიო ბარათები იყო წარმოდგენილი თამაშებზე **პრაქტიკაში მიღებული** არასრულყოფილი ფორმით, ხოლო აღნიშნულ პირებს აქვთ აქტიური რეგისტრაცია სრკ-ში და ვინაიდან არ არსებობს სრკ-ს რაიმე დებულება

რომელიც ადგენს ლიცენზიების გაცემის, მათი ფორმის და წარდგენის წესს, სადისციპლინო კომისია მიიჩნევს, რომ სრკ-ს მოთამაშის სალიცენზიო ბარათს გააჩნია მხოლოდ ერთი დატვირთვა, რომელიც გამოიხატება მატჩის ოფიციალური პირების მიერ მოედანზე მოთამაშეთა იდენტიფიცირებაში, რათა გამოირიცხოს სრკ-ში არარეგისტრირებული პიროვნებების მონაწილეობა თამაშში.

სადისციპლინო კომისია მიიჩნევს, რომ ვინაიდან საითინგში აღნიშნულ მოთამაშეებს გააჩნიათ აქტიური რეგისტრაცია სრკ-ში, სრკ-ს მიერ არ არის განსაზღვრული მოთამაშეთა სალიცენზიო ბარათის გაცემის წესი და ამასთან მეთვალყურემ დაუშვა საითინგში აღნიშნული მოთამაშეები მატჩზე, ისინი არ წარმოადგენენ ისეთ მოთამაშეებს, რომელთაც არ ჰქონდათ ზემოაღნიშნულ მატჩში მონაწილეობის უფლება.

3. რუსთავის „რუსთავი“-ს საითინგში აღნიშნულ მესამე (გ) საკითხთან დაკავშირებით: მოთამაშეთა შეცვლის წესის დარღვევა.

მოთამაშეების მოედნიდან გაყვანა და შემდეგ მათთვის სათამაშო მოედანზე დაბრუნების უფლების მიცემა იყო მატჩის ოფიციალური პირების მოთხოვნა და გადაწყვეტილება, რაც არ წარმოადგენს გუნდის მიერ მოთამაშეთა შეცვლის გამოყენებას, მსოფლიო რაგბის თამაშის წესების თანახმად.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შედეგად ვერ დაადგინა ქუთაისის "ბაგრატი"-ს მხრიდან ისეთი სიმძიმის დარღვევა როგორიცაა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #3-თ განმარტებული არარეგისტრირებული მოთამაშის მონაწილეობა თამაშში.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობის შემდეგ და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.18 პუნქტის (**„არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.**) საფუძველზე მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ქუთაისის „ბაგრატს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 1000(ათასი) ლარის ოდენობით და გადახდის ვადად განისაზღვროს 2024 წლის 27 ივნისი.
2. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მიერ ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მის მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტი.
3. სრკ-ს მეთვალყურეს, მამუკა ჯანაშიას შეუჩერდეს მატჩის ოფიციალური პირის სტატუსი 2024 წლის 1 ნოემბრამდე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	28/05/2024

გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება [**საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)**]